

ა(ა) ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

03.10.2012 № 125

თბილისი

სტუ-ს ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის
ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად
კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „მეცნიერების,
ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 10⁷ მუხლის,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის
ინსტიტუტის დებულებისა და ინსტიტუტის დირექტორის 2012 წლის 27
სექტემბრის №0301-7/104 წერილის საფუძველზე

ებრძანებ:

1. ჩატარდეს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებელი კონკურსი დანართი №1-ით განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე.
2. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყო 2012 წლის 4 ოქტომბერს და დასრულდეს 2012 წლის 1 ნოემბერს. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტში. (მის: სანდრო ეულის 5 ტელ: 218 76 33), 11 საათიდან – 17 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
3. კონსურსი შედეგები გამოცხადდეს 2012 წლის 2 ნოემბერს.
4. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი



ა. ფრანგიშვილი

ვიზა:

იურიდიული დეპარტემენტის
უფროსი ბ. მაისურაძე



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის
კიბერნეტიკის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად
გამოცხადებული საკონკურსო ვაკანტური თანამდებობების ნუსხა და კონკურსისათვის
წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

- მათემატიკური კიბერნეტიკის განყოფილება
 - 1) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
 - 2) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული
 - 3) მეცნიერი თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული

- სტოქასტური ანალიზისა და მათემატიკური მოდელირების განყოფილება
 - 1) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
 - 2) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 0,5 საშტატო ერთეული
 - 3) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული
 - 4) მეცნიერი თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული
 - 5) მეცნიერი თანამშრომელი - 0,5 საშტატო ერთეული

- სახეთა ამოცნობის გამოყენებითი სისტემების განყოფილება
 - 1) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული
 - 2) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 0,5 საშტატო ერთეული
 - 3) მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული

- ბიოკიბერნეტიკული სისტემების განყოფილება
 - 1) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
 - 2) მეცნიერი თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული

- გამოთვლითი ტექნიკის ელემენტებისა და ნანომასალების განყოფილება
 - 1) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული
 - 2) მეცნიერი თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული
 - 3) მეცნიერი თანამშრომელი - 0,5 საშტატო ერთეული

- კომპერენტული და კვანტური ოპტიკის განყოფილება
 - 1) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული
 - 2) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული
 - 3) მეცნიერი თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული

- ინფორმაციის ჰოლოგრაფიული ჩაწერისა და დამუშავების ლაბორატორია
 - 1) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული
 - 2) მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული

- ოპტიკურად მართვადი ანიზოტროპული სისტემების განყოფილება
 - 1) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
 - 2) მეცნიერი თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული

ობტიკურ-ქიმიურ კვლევათა ლაბორატორია

- 1) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
- 2) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
- 3) მეცნიერი თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული

- მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი
- უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი (ასპირანტი) ან აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი
- მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

- განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- კალენდარული ავტობიოგრაფია;
- დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
- სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);
- პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების და გამოყენების აქტების ჩამონათვალი (სასურველია);